*ზაალ ქორთუა*

**DOI:** https://doi.org/10.52340/zssu.2022.14.16

# სამეგრელოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გარკვევისათვის

**აბსტრაქტი:** *სტატია შეეხება სამეგრელოში თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობის პერიოდს, რომლებმაც აქ სარწმუნოებრივი და ფართო მასშტაბის საზოგადოებრივი მოღვაწეობა გააჩაღეს. მიუხედავად იმისა, რომ მათი მოღვაწეობის შესახებ ბევრი დაწერილა, არის საკმაოდ ბევრი დასაზუსტებელი საკითხი, რომელიც მათ საქმიანობას და ზოგადად, იმ პერიოდის სამეგრელოს და ზუგდიდს უკავშირდება. ხსენებულ სტატიაში ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე მათგანზე, რომელთაგან მნიშვნელოვანია ლევან დადიანის სასახლისა და წიფურიას ადგილმდებარეობის განსაზღვრა. წყაროთა შეჯერების საფუძველზე განხილულია სხვადასხვა მკვლევართა აზრი, რომელთა კრიტიკული განხილვის შემდეგ ავტორს გამოაქვს საკუთარი დასკვნები, რომლებიც შეეხება დადიანის რეზიდენციის ადგილმდებარეობისა და წიფურიის ლოკალიზაციის დაზუსტების საკითხებს.*

***Zaal Kortua***

**Issues Related to the Activity of Catholic Missionaries in Samegrelo**

***Abstract:*** *The article focuses the period of work of Theatine missionaries in Samegrelo, who started religious and wide-scale public activities there. Although a lot has been written about their work, there are quite a few issues that need to be clarified, which are related to their work and, in general, to Zugdidi of that period. This article examines several issues. The most important one is the determination of the location of Levan Dadiani's palace and Tsifuria. The paper analyzes many researchers' opinions and a combination of different sources, to formulate new conclusions concerning the issues of the specific location of Dadiani's residence and the location of Tsifuria.*

სამეგრელოში მისიონერთა მოღვაწეობა XVII ს. 30-იანი წლებიდან იწყება. 1633 წლის 19 ნოემბერს თეატინელი მისიონერები არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე სამეგრელოში ჩამოვიდნენ. მრავალმხრივი იყო მათი საქმიანობის სფეროები. არ დარჩენილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი მხარე, წმინდა სარწმუნოებრივთან ერთად, ისინი რომ არ შეხებოდნენ. დიდია და ფასეული მათი ისტორიული მემკვიდრეობა. მიუხედავად

იმისა, რომ მათი მოღვაწეობის შესახებ ბევრი დაწერილა, არის საკმაოდ ბევრი დასაზუსტებელი საკითხი, რომელიც მათ საქმიანობას უკავშირდება. ხსენებულ სტატიაში გვსურს ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე მათგანზე.

მისიონერები არაფერს ამბობენ მათ თანამედროვე ზუგდიდზე, როგორც სამთავროს ძირითად დასახლებულ პუნქტზე. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ზუგდიდი, მათი მოღვაწეობის პერიოდში ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფებოდა, როგორც სამთავროს ცენტრი და ამდენად, როგორც ქალაქური ტიპის დასახლება, ცალკე აღნიშვნის ობიექტი არ შეიძლება ყოფილიყო.

მისიონერთა ეპოქის ზუგდიდში არ იყო ქვითკირით ნაგები შენობები. არათუ მე-17-მე-18 სს, არამედ მე-19 ს.- მდე ზუგდიდში, სასახლისა და ეკლესიების გარდა, ქვითკირის შენობები თითქმის არ ყოფილა. არსებული ცნობების თანახმად, მე-19 ს. მეორე ნახევარში გილდიის ვაჭარ დათა ჭედიას აუშენებია ქვითკირის ორსართულიანი ქარვასლა. (ჩვენი დაკვირვებით, ეს სახლი დღევანდელი თავისუფლების ქუჩის დასაწყისში, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სიახლოვეს მდგარა) 1893 წ. გაზეთი ,,ივერია“ წერდა, ,,ზუგდიდი დღე-დღეზე წარმატებაში შედის. ნაცვლად ხის შენობებისა, ააგეს ქვის შენობები და ლამაზად გადაჭიმეს ქვის დუქნები, სახლები, ქარვასლები“ (გაზ. ,,ივერია“ N 142, 1893”). ქალაქის ჩვენამდე მოღწეულ შენობებს შორის უძველეს შენობა-ნაგებობად მაცხოვრის ეკლესია უნდა მივიჩნიოთ (XIII-XIV სს.) რომლის ხშირი სტუმრები ზუგდიდში მყოფი მისიონერებიც უნდა ყოფილიყვნენ.

დღემდე სადაო საკითხია ლევან II დადიანის სასახლის ადგილმდებარეობის საკითხის განსაზღვრა. ჩვენი ღრმა რწმენით, დადიანის მთავარი სასახლე ,,დღევანდელი დედოფლის“ სასახლის ტერიტორიაზე უნდა მდგარიყო. თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც მთავრის სასახლის მაცხოვრის გორაზე არსებობის შესახებ. დღეს არსებული ე.წ. ,,დედოფლის სასახლე,’’რომელიც აღდგენილია ომარ-ფაშას მიერ 1856 წ. ზუგდიდის გადაწვის შემდეგ, ინარჩუნებს ძველი სასახლის არქიტექტურის ელემენტებს. ჩრდილოეთიდან ანუ დღევანდელი კარის ეკლესიის მხრიდან არსებული შენობის ხედი პირდაპირ კასტელის ნახატს მოგვაგონებს. (კასტელი 1977: 56) აღნიშნული საკითხის შესახებ ჩვენ ვწერდით ერთ-ერთ ადრინდელ პუბლიკაციაში, რომელიც შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებულში დაიბეჭდა 2013 წელს **(ქორთუა; შრომათა კრებული 2013: 79-83).** მუზეუმის ფონდებში დაცულია ცნობები აღნიშნული შენობის სამშენებლო

სამუშაოების შესახებ, თუმცა არ არის მინიშნება იმაზე, რომ შენობის რეაბილიტაცია სრულად თავიდან დაიწყო, რაც გვაფიქრებინებს, რომ  მოხდა არსებული კარკასის შენარჩუნების საფუძველზე აღდგენა-განახლება (ტუღუში 2012).

მისიონერები, როგორც აღინიშნა,ზუგდიდის შესახებ ბევრს არაფერს იუწყებიან, რაც იმ დროინდელი დასახლების სიმცირით და ნაკლები მნიშვნელობით უნდა აიხსნას. აკ. ჭანტურიას მიერ მოხმობილი ტერმინი ,,ნაზუგიდუ'' გულისხმობს სოფელ ზუგდიდს, რომელიც მაცხოვრის გორის მიდამოებში უნდა ყოფილიყო. ქალაქის დაწინაურება, როგორც აღვნიშნეთ, ლევან დადიანის დროს უკავშირდება და  მთავრის სასახლეც, უკვე ქალაქის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო.

მისიონერთა რელაციებში დაცული ცნობებიდან  ბევრი ფაქტისა და მოვლენის ახსნა დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს. დასაზუსტებელია ბევრი ლოკაცია. საინტერესოა, სად იყო ზუგდიდის მახლობლად ,,მეჯოღორის'' ტყე (თამარაშვილი 1902: 205), რომელსაც მისიონერები ახსენებენ. ასევე საინტერესოა, სად მდებარეობდა კასტელის მიერ ნახსენები ,,ნამასო'', სადაც დადიანი დიდხანს რჩებოდა.

ჩვენის აზრით, კიდევ ერთხელ დაზუსტებას მოითხოვს წიფურიის ლოკალიზაციის საკითხი. მეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრებით, ის სოფ. თაგილონის ტერიტორიაზე მდებარეობდა **(პაჭკორია 1987: ქსე, ტ. 11, 334).**

ძალიან საინტერესოა ზუგდიდსა და წიფურიას შორის მისიონერთა მიმოსვლა-გადაადგილების საკითხი. მისიონერები, მაგ. დონ პიეტრო ავიტაბილე აღწერს ქართლში მიმოსვლასთან დაკავშირებულ სირთულეებს (ავიტაბილე 1977). მისიონერები ასევე აღწერენ იმერეთში რიონის გადალახვასთან დაკავშირებულ პრობლემას 1666 წ.  მისიონერთა რელაციებიდან გამომდინარე, გვაქვს საკმაო ცნობები დადიანთან მათი შეხვედრების შესახებ ისტორიული სამურზაყანოს ტერიტორიაზე - მოქვში, ილორში, მერკულაში (დღევანდელი ოჩამჩირის რაიონი)  წიფურიაში მოხვედრისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მდინარე ენგურის გადალახვა, (თუმცა არსებობს სხვა ვერსიებიც, რომელთა მიხედვითაც წიფურია სხვაგან მოიაზრებოდა)  რომელიც დღესაც და მით უმეტეს ლევან დადიანის ეპოქაში მეტად წყალუხვ და სწრაფ მდინარეს წარმოადგენდა. არ გვაქვს ცნობა იმ პერიოდის ენგურზე გადებული ხიდების შესახებ, რისი არსებობაც, სინამდვილეში, ნაკლებ სავარაუდოა. ბორნით

შესაძლო სარგებლობის ვერსიაც ნაკლებად დამაჯერებელია, რადგანაც ეს მდინარის ნაკლებ დინებაზე და წყალმარჩხ ადგილზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. მიუხედავად ლამბერტის ცნობისა იმის შესახებ, რომ ენგურის ერთი ნაპირიდან მეორეზე ნავებით გადადიოდნენ და კასტელის დახატულიც აქვს მისიონერთა აფრიანი ნავი, ენგურზე გადასვლა, ნებისმიერ შემთხვევაში მისიონერებისთვის მეტად რთული უნდა ყოფილიყო და საინტერესოა, რატომ არ წერენ ისინი ამის შესახებ? ხომ არ სარგებლობდნენ საზღვაო ნავებით და ზღვის სანაპიროდან ხომ არ შედიოდნენ მათთვის საინტერესო დასახლებულ პუნქტებში? ეს ვერსიაც დასაზუსტებელია.

ჩნდება ლოგიკური კითხვა? ხომ არ იყო წიფურია ენგურს გამოღმა, როგორც ამას არა ერთი მეცნიერი მიიჩნევს (თ. ბერაძე - განმუხური, (თ. ბერაძე 1971: 154) პ. გაბისონია--შამგონა) (გაბისონია,ნისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები N XII-XIII, 2012-2013, 369-378) ოფიციალური ვერსიის შექმნა წიფურიის ლოკალიზაციის შესახებ თავის დროზე გარკვეული სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით მოხდა, რაც უდავოდ, კვლევის დროს გასათვალისწინებელია.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა აკაკი ჩიქობავამ (ჩიქობავა, თსუ ისტორიის ინსტიტუტის შრომები VI: 2012 , 225). მკვლევრის მოსაზრებით, შამგონა და თაგილონი საკვლევ პერიოდში ერთი სოფელს წარმოადგენდნენ, ხოლო ენგურის კალაპოტის ცვლილების შედეგად მოხდა ამ ორი ნაწილის დაშორიშორება. აღნიშნულის მტკიცებულებად მას მოჰყავს თაგილონში გავრცელებული ტოპონიმი ,,ნაინგრ," (ნაენგურალი ზ. ქ.) აგრეთვე შამგონის სასაფლაოს ნაშთის არსებობა თანამედროვე თაგილონის ტერიტორიაზე, რასაც სწორედ ენგურის მარცხენა ტოტის ადგილმდებარეობის ცვლილებით ხსნის. ავტორის მსჯელობა დამაჯერებელია, თუმცა ჩვენს მიერ დასმული საკითხის საბოლოო ახსნისთვის დამატებითი კვლევაა საჭირო. დაზუსტებას მოითხოვს მ. თამარაშვილის ცნობა მისიონერების მიერ საცხოვრებელი და სამოღვაწეო ადგილის ძიებისას დროებითი (კორცხელის ზ.ქ.) ,,სადგომის გარშემო შემოვლის" შესახებ, (მ. თამარაშვილი 1902: 173) როცა მათ წიფურიაში იპოვეს ქვით ნაშენი ეკლესიები. რას ნიშნავს ,,სადგომის გარშემო შემოიარეს?!". კორცხელიდან შამგონა-თაგილონამდე საკმაო მანძილია და მარტივად ,,შემოსავლელი" არ არის. საინტერესოა, რას გულისხმობდა მ. თამარაშვილი, როცა ამ ფრაზას წერდა?!

ჩვენი მოსაზრებით, მისიონერთა სავანე დღევანდელი შამგონის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო, რაზეც მ. თამარაშვილის ზემოთ მოტანილი ცნობა  გარკვეულ მინიშნებად შეიძლება მივიღოთ. ჩვენს მოსაზრებას ამყარებს სოფ. შამგონაში მიკროტოპონიმ ,,წიფურონის''არსებობაც (გაბისონია,ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები N XII-XIII, 2012-2013, 369-378) .

საინტერესოა ზუგდიდის მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა ჩვენთვის საინტერესო პერიოდში. ცნობები ზუგდიდის მოსახლეობის შესახებ მე-19 ს. შუა ხანებიდან გაგვაჩნია. 1840 წლის ერთი ცნობის მიხედვით ზუგდიდის მოსახლეობა 912 კაცს შეადგენდა. ეს ციფრი 1865 წლისთვის გაორმაგდა (ტუღუში 2012: 15). ჩვენი მოსაზრებით, ლევან დადიანის მმართველობის პერიოდში ზუგდიდის მოსახლეობა 1000 მოსახლემდე უნდა ყოფილიყო, რომელსაც სავარაუდოდ, შეადგენდნენ სასახლის ფარეშები, მოსამსახურეები, ვაჭარ-ხელოსნები და სამხედრო პირები, რომლებიც დადიანისა და მისი ოჯახის დაცვის უზრუნველყოფდნენ.

მე-16 ს. 70-იან წლებში ზუგდიდის ბრძოლის არეალად მოხსენიება მოწმობს, რომ ის ანგარიშგასაწევი დასახლებული პუნქტია. (როგორც ცნობილია, ზუგდიდი საისტორიო წყაროებში პირველად 1572 წ. მოიხსენიება, როცა ზუგდიდთან გამართულ ბრძოლაში გიორგი გურიელმა დაამარცხა გიორგი  დადიანი, რათა ტახტზე აეყვანა თავისი სიძე და მთავრის-გიორგი დადიანის ძმა-მამია) (ქ.ც. IV; 832) .

მე-17 ს. ბოლოდან  აფხაზთა და ჩრდილო კავკასიელთა მარბიელი ლაშქრობების გამო დაიწყო ზუგდიდის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გახიზვნა, რაც განპირობებული იყო  ხიფათისადმი თავის არიდებით. ამ პროცესებმა შეაჩერეს ზუგდიდის, როგორც ქალაქისა და სამთავროს ცენტრის  განვითარების პროცესი, რაც უპირველესად, აქედან მოსახლეობის გახიზვნით  გამოიხატა.  მე-17 ს. 70-იან წლებში კათოლიკე მისიონერთა პრეფექტი სამეგრელოში ჟოზეფ მარია ძამპი, აღწერს რა სამთავროში შექმნილ ურთულეს ვითარებას, დასძენს, რომ  სამეგრელო ის არ არის, რაც იყოო (ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ. 1975).

მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკე მისიონერები სამეგრელოში თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში მოღვაწეობდნენ, სახალხო ცნობიერებას (ფოლკლორი, ზეპირი გადმოცემები)

არ შემორჩა მათი აქ ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია. მათი მოღვაწეობის პერიოდში აქ არ აშენებულა არც ერთი კათოლიკური ტაძარი, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ კათოლიკობა სახელმწიფო დონეზე აყვანილი არ ყოფილა, მიუხედავად მთავრის მფარველობისა და ხელშეწყობისა. საინტერესოა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ორსანტიაში შემორჩენილია ეკლესიის ნაშთები, რომელიც დადეშქელიანების ე.წ. ,,კათოლიკე ფრანგების ეკლესიის“ სახელით არის მოღწეული. ეკლესია, სავარაუდოდ, დათარიღებულია მე-19 მე-20 საუკუნეთა მიჯნით. ჩვენ მიერ მოძიებული ზეპირი გადმოცემის თანახმად, ეკლესია აშენებულ იქნა ფრანგი ოსტატების მიერ და ამიტომ უწოდებდნენ კათოლიკურ ეკლესიას, თუმცა, ეკლესია მართლმადიდებლური იყო.

ამრიგად, კათოლიკე მისიონერთა ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა მნიშვნელოვანია ისტორიული განვითარების პროცესის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით. წყაროთა ურთიერთშეჯერების მეთოდის საფუძველზე საინტერესოა ზუგდიდისა და მისი შემოგარენის ისტორიის კვლევა (ადგილმდებარეობის განსაზღვრა, ტოპონიმების დადგენა) გვიანფეოდალურ პერიოდში. ზოგ საკითხში პრობლემის საბოლოო განსაზღვრისათვის საჭიროა დამატებითი დაკვირვებებისა და კვლევის ჩატარება, ახალი მასალების მოძიება, რაც მომავლის საქმეა.

**ლიტერატურა:**


**ავიტაბილე დონ პიეტრო,** ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე) თბ. 1977

**თ. ბერაძე,** ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით, ,,მაცნე“ ისტორიის სერია, თბ. 1971 გვ. 154

**პ. გაბისონია,** ზუგდიდის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები N XII-XIII, თბ. 20012-2013, გვ.369-378

**მ. თამარაშვილი,** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანით XIII საუკუნიდან ვიდრე XIX საუკუნემდე, ტ. 1902 წ.

გაზ. ,,ივერია“ N 142, 1893

**დონ ქრისტოფორო დე კასტელი,** ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ 1977; გვ. 56

**მ. პაჭკორია,** თაგილონი, ქსე, ტ. 11, გვ. 334, თბ., 1987

**ა. ტუღუში,** ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, გვ.15, თბ. 2012

**ქართლის ცხოვრება IV**; ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით აკად. ს. ყაუხჩიშვილის მიერ ,თბ. 1973 გვ.832

**ზ. ქორთუა,** ზუგდიდის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის საკითხისათვის, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული N6 2013, 79-83

**ა. ჩიქობავა,** ოდიშ-აფხაზეთის ტოპონიმიკა XVI-XVII სს. თსუ ისტორიის ინსტიტუტის შრომები VI, თბ. 2012 , გვ.225

ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, (ცნობები საქართველოს შესახებ) ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ. 1975